ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 53
28/06/2016

53-08-4-201606281702

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. კურორტი ბახმაროს (441993648) სარგებლობაში არსებული კურორტ ბახმაროში მდებარე არასოსოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა (1200 კვ.მ.) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 28.24.22.214) პირდაპირ განკარგვის წესით შ.პ.ს „მამქოლისათვის“ (ს/კ242005977) სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე **საკრებულო ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. კურორტი ბახმაროს (441993648) მის სარგებლობაში არსებული კურორტ ბახმაროში მდებარე არასოსოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა(1200 კვ.მ) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 28.24.22.214) პირდაპირი განკარგვის წესით შ.პ.ს. „მამქოლისათვის“ (ს/კ242005977) სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემაზე 3(სამი) თვის ვადით.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული

სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე:

ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა